საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/64

ქ.თბილისი

"26" დეკემბერი 2017 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნისა და კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე"

"სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის "მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დაინიშნოს კომისიის ადმინისტრაციის არასაშტატო სპეციალისტი ნარგიზა ლომთაძე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად;

2. დამტკიცდეს კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებათა თანდართული გეგმა (დანართი 1);

3. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ნ. შოვნაძე) აღნიშნული ბრძანების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური